პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 188 (6243)
1978 წ. 24 სექტემბერი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებს!

ძვირფასო ნორჩო მეგობრებო!

სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი მხურვალედ და გულთბილად გილოცავენ თქვენ, ნორჩ სპორტსმენებს, მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების გახსნას.

მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა ტარდება ღირსშესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ახალგაზრდობა თავისი მებრძოლი ორგანიზაციის — ლენინური კომკავშირის სახელოვან 60 წლისთავს აღნიშნავს. ჩვენი სამშობლოს ჭაბუკები და ქალიშვილები უდიდესი აღმაფრენით შრომობენ საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებაში ღირსეული წვლილის შესატანად, ამასთან ავლენენ მაღალ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, აჩვენებენ წარჩინებული სწავლისა და დამკვრელური შრომის მაგალითებს.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები ახალგაზრდებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციის კარგი საშუალებაა.

სპარტაკიადები ნიჭიერ ნორჩ სპორტსმენთა ჭეშმარიტი დათვალიერებაა, რომელთაგან იზრდებიან სახელოვანი სპორტსმენები, სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები.

სპარტაკიადის ფინალურ სტარტებს წინ უძღოდა საბავშვო სპორტული თამაშების — „იმედის სტარტების" მასობრივი შეჯიბრებები, რომლებიც ხელს უწყობენ ნორჩ ათლეტთა ოსტატობის შემდგომ ზრდასა და ახალი ტალანტების გამოვლენას.

თქვენ, ნორჩო მეგობრებო, დიდი პატივი გხვდათ წილად იყოთ საბჭოთა სპორტის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლები. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ იქნებით ფიზკულტურისა და სპორტის აქტიური პროპაგანდისტები, მასწავლებელთა პირველი დამხმარეები სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზებაში, ფიზკულტურასა და სპორტში თქვენი თანატოლებისა და უმცროსი კლასების მოსწავლეთა ჩაბმაში.

მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა ტარდება დევიზით: „ოლიმპიელები ჩვენს შორის". ჩვენ გვჯერა, რომ მისი ბევრი მონაწილე, მომავალში ღირსეულად დაიცავს საყვარელი სამშობლოს სპორტულ ღირსებას დიდ საერთაშორისო ასპარეზობებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, XXII ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც საბჭოთა კავშირის დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში გაიმართება, გამარჯვებით წაიღებენ წინ ჩვენი სამშობლოს სპორტულ ესტაფეტას.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ნორჩო მეგობრებო, ბედნიერ სტარტებს, წარმატებებს შრომაში, სწავლაში ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად!

**სსრ კავშირის განათლების სამინისტრო**

**საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი**




# ოლიმპიურ გამარჯვებამდე

□

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ე. ბერიშვილი ტაშკენტიდან გვატყობინებს:

**უზბეკეთის** დედაქალაქში დიდი დღესასწაულია — ზეიმობენ მოსწავლეები, ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების წარგზავნილები, ზეიმობს საბჭოთა სპორტული ახალგაზრდობა — სამამულო სპორტის იმედი და მომავალი.

გოგო-ბიჭების ეს დიდი არმია უმნიშვნელო ნაწილია იმ 30-მილიონი ნორჩი სპორტსმენისა, რომლებიც XV სპარტაკიადის სტარტებზე გამოვიდნენ.

გუშინ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, აქ, ტაშკენტის ცენტრალურ სტადიონზე შეიკრიბნენ, რათა ჩვენი ქვეყნის უდიდეს სპორტულ ფორუმში — მოსწავლეთა სპარტაკიადის საზეიმო გახსნაში მიეღოთ მონაწილეობა.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნამდე მონაწილეებმა ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე მოიყარეს თავი, ყვავილებით შეამკეს დიდი ბელადის ძეგლი. შემდეგ წუთიერი დუმილით პატივი სცეს უცნობი ჯარისკაცის ხსოვნას. ეს ტრადიცია ყველაზე ლამაზი, ყველაზე შთამბეჭდავი.

...17 საათია. საზეიმოდ ახმაურდნენ ფანფარები. „ფახთაქორის" სარბენ ბილიკზე ჩირაღდნიანი სპორტსმენი გამოჩნდა. ეს უზბეკი მოკრივე, მიმდინარე სპარტაკიადის ჩემპიონი ილხომ პარტიერია. ცოტაც და სტადიონის ფიალში ცეცხლი აგიზგიზდა — XV სპარტაკიადის ცეცხლი.

აი, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტული დელეგაციებიც გამოჩნდნენ — მხნედ, ამაყად მოაბიჯებენ ცენტრალური ტრიბუნის წინ. საზეიმო ცერემონიალი გრძელდება. საუკეთესო ნორჩმა სპორტსმენებმა საბჭოთა კავშირის ჰიმნის თანხლებით აღმართეს სპარტაკიადის დროშა. შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმნენ სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილე ფ. შტიკალო და უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ხოჯიევი.

აღმოსავლეთ ტრიბუნის ცოცხალ ტაბლოზე ერთმანეთს ენაცვლებიან წარწერები „მშვიდობა, შრომა, ბედნიერება".

აი, სპარტაკიადის ემბლემაც გამოჩნდა — გადაშლილი წიგნის ფონზე გამოსახული ხუთი რგოლი. იქვეა წარწერა: „ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან". ქვემოთ მწვანე მინდორზე კი საინტერესო საჩვენებელი პროგრამით გამოდიან ტაშკენტის მოსწავლეები და სტუდენტები. თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ ტანმოვარჯიშეები, აკრობატები, მოჭიდავეები, მძლეოსნები.

**22 სექტემბერს ტაშკენტის „პახთაქორის" სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა**

**სპარტაკიადის** საზეიმო გახსნა საღამოს მოეწყო. მანამდე კი ტაშკენტის სპორტულ ბაზებზე საინტერესო პაექრობა ჰქონდათ გაჩაღებული მძლეოსნებს, წყალბურთელებს, ფრენბურთელებს, მოჭადრაკეებსა და კლასიკური სტილის მოჭიდავეებს.

**მძლეოსანთა** შეჯიბრების ბოლო დღეს საქართველოს წარმომადგენლებმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. **4X100 მეტრზე ესტაფეტაში საქართველოს კვარტეტმა (ვ. ლისტაკოვი, ზ. ჭანიშვილი, ვ. ბაგურიძე, გ. ზილფოვი) 42,9 აჩვენა და II ადგილი დაიკავა.** ოქროს მედლები კი ბელორუსიელმა სპრინტერებმა დაისაკუთრეს — 42,55. მახარაძელმა დ. ლომჯარიამ ბირთვი 16,43 მეტრზე ჰკრა და IV ადგილზე გავიდა. ჩემპიონი გახდა ს. კარლოუსკაია (ბელორუსია) — 17,59.

სამხტომელთა ფინალში ჩვენი რესპუბლიკის 2 წარმომადგენელი გამოდიოდა. თბილისელი ს. ახვლედიანი — 14,96 მეტრზე გადახტა და IV ადგილი დაიკავა. მას თანაგუნდელი ა. ნერსესიანი 3 სანტიმეტრით ჩამორჩა და V ადგილზე გავიდა. უძლიერესი იყო ხარკოველი ი. სვისტუნოვი — 15,22.

2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ახალციხელმა ი. ლევიტმა VI შედეგი აჩვენა — 6.12,0. გაიმარჯვა ვ. კრივოშაპოვმა (მოლდავეთი) — 5.54,9.

მაშ ასე, დამთავრდა სპარტაკიადის კიდევ ერთი სახეობა — მძლეოსნობა. საქართველოს ათლეტებმა „პახთაქორის" სტადიონზე ოქროს ერთი, ვერცხლის ოთხი და ბრინჯაოს ერთი მედალი მოიპოვეს (ყველა ჯილდო ჭაბუკთა წილად მოდის).

ოთხდღიანი ასპარეზობის შემდეგ ჩვენმა გუნდმა 37738 ქულა მოაგროვა და საერთო ჩათვლაში X ადგილი დაიკავა. ჩემპიონობა დაიმსახურეს უკრაინელებმა — 43712, შემდეგ მოდიან რსფსრ-სა (42391) და ბელორუსიის (41625) გუნდები.

ამ შეჯიბრებაში **ჩვენი ვაჟები 24483 ქულით III ადგილზე გავიდნენ.** გოგონებმა კი მხოლოდ 13305 ქულის აღება შეძლეს და XIV ადგილით დაკმაყოფილდნენ.

**წყალბურთში** საქართველოსა და მოსკოვის გუნდების შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა ქვეჯგუფში ლიდერობის საკითხი. I და II პერიოდში მოსკოველებმა იმარჯვეს (3:1, 3:2). III პერიოდში ქართველმა სპორტსმენებმა ნაწილობრივ გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ — 8:9.

დასკვნით, V ტურში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი **ფრენბურთელები** — გოგონებმა მოუგეს მოლდავეთის ნაკრებს — 3:1, ჭაბუკებმა ასეთივე ანგარიშით სძლიეს თურქმენების გუნდს. მიუხედავად ამისა, ჩვენი კოლექტივები ფინალის მიღმა დარჩნენ და ახლა VII-XII ადგილებისთვის იბრძოლებენ. ფინალურ ექვსეულში ვერ მოხვდნენ საქართველოს **ხელბურთელ** გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებიც.

ჩვენს **მოჭადრაკეებს** ბოლო შეხვედრა ყირგიზეთის ნაკრებთან ჰქონდათ. ხუთ დაფაზე გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა, ერთი პარტია ყაიმით დამთავრდა, ერთიც წააგეს, მაგრამ ამ შეხვედრის შედეგს სატურნირო ცხრილში შესწორება არ შეუტანია — III ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრები გამოდის, ფინალის საგზურს უკვე გაინაღდეს უკრაინისა და უზბეკეთის მოჭადრაკეებმა.

სპორტდარბაზი „იუბილეინი" ავლავ **ჭიდაობის** მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. აქ ეს-ესაა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა გაარკვიეს ურთიერთობა, გუშინ კი ასპარეზობაში კლასიკოსები ჩაებნენ. შეჯიბრების პირველ დღეს ხუთი ქართველი ფალავანი გამოვიდა ხალიჩაზე — ვადაზე ადრე გაიმარჯვეს მ. ასათიანმა (48 კგ) და მ. ტურაბელიძემ (81 კგ), ხოლო დ. ტატუაშვილმა (75 კგ) ქულებით დაამარცხა მეტოქე, უმჩატესი წონის მოჭიდავე რ. გულმამედოვმა წააგო.



## არის პირველი [illegible]

[illegible] კომისიამ „ფრიადზე" შეფასებით მიიღო მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიური წრიული ველოტრასა. იგი მომზადებულია ვადაზე 15 თვით ადრე.

ახალი ტრასა ზუსტად შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ მონაცემებს: მისი სიგრძეა 13 კილომეტრი და 640 მეტრი, სიგანე — 7 მეტრი (ბოლო მონაკვეთზე — 12 მეტრი).

წრიული ველოტრასა პირველი სპორტული ობიექტია, რომელიც ოლიმპიადა-80-ისათვის მომზადდა.

## ჩოგბურთი

### გ. ელერდაშვილის წარმატება

**დონეცკში** მიმდინარე სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატის მთავარი სენსაცია იყო 20 წლის თბილისელი ჩოგბურთელის **გია ელერდაშვილის** (საკავშირო კლასიფიკაციაში იგი 32-ე ადგილზეა) გამარჯვება ქვეყნის მესამე ჩოგანზე, მოსკოველ ვადიმ ბორისოვზე — 6:3, 6:3.

## ჭადრაკი

**გუშინ** ბიჭვინთაში გაიმართა ქალთა მსოფლიო პირველობაზე **ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის** მატჩის XII პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი. პარტია გადაიდო ნ. გაფრინდაშვილის პოზიციური უპირატესობით. 41-ე სვლა ჩაიწერა მ. ჩიბურდანიძემ. ამ პარტიის დამთავრება მოხდება დღეს.

* * *

**გუშინ** ბაგიოში (ფილიპინები) გაიმართა ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის XXV პარტია. იგი 42-ე სვლაზე გადაიდო.

## ფრენბურთი

როგორც ვიტყობინებოდით, იტალიის ქალაქებში გრძელდება ფრენბურთში ვაჟთა გუნდების IX მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებები. საბჭოთა გუნდი უდინეში გამოდის. ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა მეორე შეხვედრაში დაამარცხა ბრაზილიელები — 3:1 (11:15, 17:15, 15:8, 15:9) და უკვე ნახევარფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა, თუმცა მათ წინ კიდევ ერთი მატჩი ჰქონდათ ტუნისელებთან. ეს შეხვედრა გუშინწინ გაიმართა და საბჭოთა ფრენბურთელების იოლი გამარჯვებით — 3:0 (15:1, 15:2, 15:7) დამთავრდა.

სენსაციები არც სხვა ქვეჯგუფებში მომხდარა. ვენეციაში ყველაზე საინტერესო გამოდგა კუბისა და იაპონიის ნაკრებთა დუელი, რომელიც, ისე, როგორც მონრეალის ოლიმპიადაზე, კუბელებმა მოიგეს — 3:1.

წინასწარ ჯგუფებში სხვა მატჩები ასე დამთავრდა: საფრანგეთი — ტუნისი 3:0, ჩეხოსლოვაკია — აშშ 3:0, გდრ — კანადა 3:0, პოლონეთი — ვენესუელა 3:0, ბულგარეთი — ჰოლანდია 3:0, უნგრეთი — არგენტინა 3:0, იტალია — ეგვიპტე 3:0, სამხრეთ კორეა — რუმინეთი 3:1, მექსიკა — ფინეთი 3:2, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — ბელგია 3:1.

## ფეხბურთი

**გუშინ** მოსკოვში, „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა" და თბილისის „დინამოს" შორის.

გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 2:1 (1:0). გოლები გაიტანეს: სპარტაკელთაგან — სიდოროვმა და გავრილოვმა, თბილისელთაგან — შენგელიამ.

თბილისის „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ხიზანიშვილი (სულაქველიძე), გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ჭორიძე (ჩელებაძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„სოფლად ფართო გაქანება უნდა მიეცეს სპორტის ხალხურ-ეროვნულ სახეობებს...“

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან

# ტრადიცია აღდგა!

**საბჭოთა** ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფელ გურჯაანში შუა ზაფხულიდან დაწყებული გვიან შემოდგომამდე ყოველ შაბათს იმართებოდა ქართული ჭიდაობა. სადაც რაიონის წინამხრელი და უკანამხრელი ფალავნები ერკინებოდნენ ერთმანეთს. „სოსოს ზვარში“ გვიანობამდე არ წყდებოდა ზურნისა და დოლის ხმა, აურაცხელი მაყურებლის ყიჟინა. ჭიდაობის საყურებლად მარტო ახლო-მახლო სოფლებიდან როდი მოდიოდა ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს სრულიად არ იყო ავტომანქანები, ჭიდაობის ქომაგნი თვით შორეული სოფლებიდანაც კი ჩამოდიოდნენ, როგორიცაა ყანდაურა, შიბლიანი, დარჩეთი, დარბა, კაჭრეთი, ჯიმითი, არაშენდა, ქოდალო, ფხოველი, მელაანი და ჩალაუბანი.

30-40-იან წლებში გურჯაანის რაიონის სახელმოხვეჭილ ფალავნებად ითვლებოდნენ წინამხრელები: ძმები სოსო და ვანო ჭანტურიძეები, სიკო ჭანტურიძე (ბოლოლა), მიხაკო ლვინიაშვილი (ვალხინას ბიჭი), ნიკალა ცანკაშვილი, ალექსანდრე ჩაგარიძე, სიკო თევდორაშვილი (კნიაზას ბიჭი), ვახტანგ მწარიაშვილი, ლადო ლიპარტაშვილი, დიანოზ ოქრუაშვილი, იოსებ ოსიაშვილი (ჯოჯია) და სხვები. აგრეთვე, უკანამხრელები: მიტრო მოსულიშვილი (თაქლა), ვანო ხარაზიშვილი, ივანე ელიზბარაშვილი (ბრტყელო), არჩილ შიშნიაშვილი, ძმები გიორგი და ქულა მეღულაშვილები (ტიტლიკანას ბიჭები), შალიკო ჯიქურაშვილი და სხვები.

„სოსოს ზვრის“ გარდა იმ ხანებში საჭიდაოები იყო მოწყობილი ჩუმლაყში, ველისციხესა და შრომაში, სადაც სისტემატურად ტარდებოდა შეჯიბრებები.

1924 წლის გაზაფხულზე საქართველოს გოლიათს სანდრო კანდელაკს ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისა და მისი გავრცელება-განვითარების მიზნით გურჯაანის რაიონში ჩაუყვანია ცნობილი ფალავნები დათა ავლაბრელი (გაპიშვილი), მიტა გლდანელი (სუხიტაშვილი), იოსებ მეჯვრისხეველი (ურიგაშვილი), ნიკა მეტეხელი და სხვანი, სულ 10 კაცი. ამ ჯგუფს პირველი საჩვენებელი გამოსვლა სოფელ გურჯაანში „სოსოს ზვრის“ საჭიდაოზე ჩაუტარებია. მერე კი სახელოვან ფალავნებს ადგილობრივი მოჭიდავეებიც გამოუწვევიათ. გურჯაანელ მოჭიდავეთა თავკაცს სანდრო ციციშვილს ვალხინას ბიჭი, მიხაკო ლვინიაშვილი მოუკითხავს, ის კი თურმე ვენახს ბარავდა, ამოუყვანიათ ვენახიდან, ეს დაღლილ-დაქანცული კაცი და საჭიდაო ჩოხა ჩაუცმევიათ. მიხაკოს ადვილად წაუქცევია პირველი მეტოქე, მაგრამ მეორეს (დათა ავლაბრელს) კი ველარ გამკლავებია.

მიხაკო ლვინიაშვილი საკმაოდ ძლიერი, ქართული ჭიდაობის ფანდებში კარგად დახელოვნებული ფალავანი იყო. ერთხელ სოფელ კოლაგში გამართულ ჭიდაობაზე მიხაკოს შესანიშნავი ილეთით (ჩაკეტილი შუაკაური წინგდებით) ნახერხზე ზურგით გაუკრავს გამოჩენილი უკანამხრელი ფალავანი ივანე ელიზბარაშვილი (ბრტყელო).

1926 წელს სოფელ გურჯაანში ვანო ჭანტურიძემ წრიდან გამოუსვლელად ოთხი უკანამხრელი ფალავანი დაამარცხა და სხვებიც გამოიწვია, მაგრამ მასთან ჭიდაობის მსურველი აღარავინ აღმოჩნდა... ვ. ჭანტურიძე გამოირჩეოდა მეტისმეტი საზრიანობით, სიდინჯით, ქართული ჭიდაობის შესანიშნავი ცოდნითა და დიდი ფიზიკური ძალით. ვანომ უკანასკნელად თბილისში, ესიკოვის ცირკში იჭიდავა, სადაც იგი გორელ ფალავანს, სახელგანთქმულ სანდრო ნაკაშაშვილს (ცაცალა) შეერკინა. ათწუთიანი ბრძოლა მსაჯთა გადაწყვეტილებით ფრედ დამთავრდა.

1931 წელს „სოსოს ზვრის“ საჭიდაოზე ერთმანეთს შეხვედრია ორი სახელოვანი ფალავანი, წინამხრელი სიკო ჭანტურიძე (ბოლოლა) და უკანამხრელი მიტო მოსულიშვილი (თაქლა). ამ შეხვედრას დიდი ინტერესი გამოუწვევია და აურაცხელი ხალხიც მიუზიდავს. ორივე ფალავანი ზეზელა კისრულის დიდოსტატად ითვლებოდა. ისინი კარგად ფლობდნენ მოგვერდსაც და შუაკაურებსაც. ფალავნებს შესანიშნავი ჭიდაობა უჩვენებიათ, ზედიზედ ხმარობდნენ კისრულს, მოგვერდს, გამოკრულ და ამოსმულ შუასარმებს, ჩაკეტილ შუაკაურებს, მაგრამ თავდაცვისა და კონტრილეთების კარგად ცოდნის მეოხებით არც ერთი არ წაქცეულა და მათი შერკინებაც ფრედ დამთავრებულა.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან 40-იან წლებამდე გურჯაანის რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციის სათავეში იდგა სპორტის დიდი მოამაგე და ენთუზიასტი შალვა ბოსტაშვილი, რომლის კარგი კაცობა და დიდი ზრუნვა ქართული ჭიდაობის განვითარებისთვის მართლაც რომ სამაგალითო იყო. იმ დროს ქართული ჭიდაობა რაიონში საერთო სახალხო ზეიმად იყო ქცეული და დიდძალ მაყურებელს იზიდავდა.

1941 წლის 13 ივნისს „სოსოს ზვრის“ საჭიდაოზე გამართული შეჯიბრება უკანასკნელი იყო. დაიწყო დიდი სამამულო ომი. ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, სამშობლოს დასაცავად გაეშურა. ფიზკულტურული საქმიანობა დროებით ჩაკვდა. მერე, გამარჯვების შემდეგ, დაიწყო ომის მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშება, მაგრამ გურჯაანის რაიონში ვერა და ვერ მოხერხდა ქართული ჭიდაობის მივიწყებული ტრადიციების აღდგენა.

და აი, დღეს, საქართველოს კპ გურჯაანის რაიონული კომიტეტის მითითებითა და ინიციატივით უკვე დაიწყო ჩვენი ეროვნული საუნჯის აღორძინება. [illegible] ჭიდაობის წრეები შეიქმნა მახარაძის, ჭიმითის, [illegible] ყის სასოფლო საბჭოებთან, აგრეთვე, ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. სოფელ გურჯაანში „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოსი (თავმჯდომარე შ. არუთინაშვილი) და გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი გ. ალნიაშვილი) ინიციატივით მოეწყო შესანიშნავი საჭიდაო მოედანი ფერდობზე შეფენილი ტერასებითა და მაყურებელთათვის განკუთვნილი სკამებით.

37 წლის შემდეგ კვლავ აღდგა წინაპართა ნასათუთევი სპორტული სახეობა. კვლავ აჭიჭყინდა ზურნა, აბაგუნდა დოლი და ხალხის ყიჟინამ შესძრა გურჯაანის სანახები. მოეწყო პირველი შეჯიბრებაც, სადაც თავი ისახელეს გოჩა ზარდიაშვილმა, გია არუთინოვმა, გია კოზმანაშვილმა, შოთა ზარდიაშვილმა, ვლადიმერ მეძველიამ და ხანდაზმულმა ფალავანმა, წარსულში საქართველოს ჩემპიონატის ყოფილმა პრიზიორმა ვალიკო იაგანაშვილმა, რომელმაც ქართული ილეთების შესანიშნავი ცოდნა გამოავლინა და მაყურებლის მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მართლაც, რომ სასახელო საქმე გაკეთდა. იმედია, უახლოეს ხანში რაიონის ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სასწავლებელი, მიბაძავს ამ კეთილ მაგალითს.

**მ. ზაოზვილი,**
ვეტერანი სპორტსმენი, სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში.



## ფერფლგადაცლილი ნალვერდალი

ალბათ ყველა ოჯახს აქვს ერთი შეხედვით მოძველებული ნივთი გადასაგდებად ან სხვენში ასატანად რომ ვერ იმეტებს, რადგან ჯერ კიდევ ატყვია იმ ქვეყნად წასული ძვირფასი ადამიანების ნახელური, ჯერაც ასდის ის ჟრუანტელისმომგვრელი, მშობლიური სურნელი, ბავშვობიდან რომ შესჩვევიან. ასეთ ნივთს ზედ დაჰგურგურებენ, უვლიან, ახლოს არავის აკარებენ და დღენიადაგ იმის ცდაში არიან, შვილებსაც შეაყვარონ, მათთვისაც ძვირფასი გახადონ.

სწორედ ასეთ ადამიანებად გვესახებიან კასპის რაიონის თავკაცები, ფიზკულტურელები, იქაური მშრომელები, რომლებმაც მშვენივრად იციან სპორტის ეროვნული საუნჯის, ქართული ჭიდაობის ყადრი და მნიშვნელობა.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის მრავალ რაიონში დაივიწყეს ქართული ჭიდაობა. სპორტის ამ ეროვნულ სახეობას ნაკლებად ან სრულიად არ მისდევენ წითელწყაროში, სიღნაღში, ლაგოდეხში, ყვარელში, გარდაბანში, თეთრ წყაროში, მარნეულში, მცხეთაში, ადიგენში, ასპინძაში, ახალქალაქში, ახალციხეში, ბოგდანოვკაში და დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში...

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში საკეთილო სიომ დაჰბერა და მან ქართული ჭიდაობის მინავლულ ნალვერდალსაც გადააცალა ნაცარი. კასპელთა მაგალითს საქართველოს სხვა რაიონებმაც მიბაძეს. მართლაც რომ სასიხარულოა გურჯაანელთა ინიციატივა, სადაც აღორძინების გზაზე დადგა ჩვენი ეროვნული სპორტის ეს უძველესი სახეობა. ამ მხრივ კარგი საქმე კეთდება გორში, ქარელში, ხაშურში, საგარეჯოში, ახმეტაში, თელავში, მესტიაში...

კასპელები კი კვლავაც ჩვეული გულმოდგინებით პატრონობენ მამა-პაპათა მიერ უხსოვარ დროში დანთებულ კოცონს, ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ მას. ხოვლეში, ზემო ხანდაკში, მეტეხში, კავთისხევში, ლამისყანაში, იგოეთში და რაიონის სხვა სოფლებში ხშირად იმართება შეჯიბრებები, რომლებიც უამრავ მაყურებელს იზიდავს. ხალხს უყვარს ჭიდაობა და ყოველ ასპარეზობას საზეიმო ელფერი დაჰკრავს.

• • •

**სურათზე:** ლამისყანის საჭიდაოზე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ● ხელბურთი

## სამი მატჩი

თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე საკავშირო ჩემპიონატის მესამე დღის სამივე შეხვედრა დაძაბულ, უკომპრომისო ბრძოლაში წარიმართა. არც ერთ გუნდს არ დაუზოგავს ძალები გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ სპორტს ხომ თავისი კანონი აქვს: იმარჯვებს ძლიერი!

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ლვოვისა და ბაქოს არმიელები. უკრაინელი სპორტსმენები თავიდანვე დაეუფლნენ ინიციატივას და მალე დაწინაურდნენ კიდეც 5 ბურთის სხვაობით, მაგრამ გათამაშების აუტსაიდერს ფარ-ხმალი არ დაუყრია და პირველი ნახევარი წააგო მხოლოდ 2 ბურთის სხვაობით — 14:16. შესვენების შემდეგ ლვოველებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 25:22.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მეორე შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ მინსკის არმიელები და რიგის „ცელტნიეკსი“. რიგელები ალმაცერობით თამაშობდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 25:21 (12:9).

ძალზე საინტერესო გამოდგა მესამე შეხვედრა თბილისის „ბურევესტნიკსა“ და კიეველ არმიელებს შორის. თამაში დაიწყო ორმხრივი შეტევებით, მაგრამ ჩანდა, რომ „ბურევესტნიკი“ უფრო გააზრებულად და ზუსტად მოქმედებდა, ვიდრე წინა დღის მატჩში მინსკელებთან. ანპილოგოვ — გ. ბერიაშვილის დუეტი ამჯამად გაცილებით შეთანხმებულად მოქმედებდა. მე-16 წუთზე თბილისელები ტაბიძის სწრაფი გარღვევის შემდეგ წინ გავიდნენ — 6:5. სტუმრებმა 54-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 20:20. ამის შემდეგ თბილისელებმა უფრო მძაფრად შეუტიეს მეტოქის კარს, რომელსაც იცავდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების მეკარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. იშჩენკო და ამ ძნელ შეხვედრაში გაიმარჯვეს ანგარიშით 24:22 (14:11).

**შეხვედრა** თბილისელებმა შემდეგი შემადგენლობით ჩაატარეს: კომახიძე, ნავროზაშვილი (1 გოლი), გ. ბერიაშვილი (6), ვ. ბერიაშვილი (3), ი. ნარიმანიძე, დოლიძე (2), გ. ნარიმანიძე (2), ტაბიძე (3), ანპილოგოვი (11).

**ზ. ზალოლაშვილი.**

### გათამაშების ცხრილი
### თბილისის ტური

**მდგომარეობა 24 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 25 | 10 | 1 | 14 | 553—570 | 21 |
| ასკ (ლვოვი) | 25 | 9 | 1 | 15 | 591—615 | 19 |
| ასკ (მინსკი) | 25 | 8 | 2 | 15 | 576—642 | 18 |
| „ბურევესტ.“ | 25 | 8 | 2 | 15 | 507—600 | 18 |
| „ცელტნიეკ.“ | 25 | 6 | 3 | 16 | 556—604 | 15 |
| ასკ (ბაქო) | 25 | 3 | 1 | 21 | 554—739 | 7 |

ველოსპორტი

## ხვალ იწყება...

ხვალ, თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე სტარტს აიღებს საკავშირო ტურნირი ველოსპორტში, რომელშიც ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა უმეტესობა მიიღებს მონაწილეობას. ამ ასპარეზობაში ჩემპიონის ოქროს მედლები გათამაშდება ველოსიპედისტთა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სახეობაში — ტანდემებით რბოლაში.

ტანდემებით შეჯიბრება წარმოადგენს წყვილთა ასპარეზობას, როცა ორივე პარტნიორი ერთ მანქანაზეა ამხედრებული. ცხადია, ველოსიპედის სიგრძე ჩვეულებრივისაგან საგრძნობლად განსხვავდება, რაც მანევრირებას ართულებს, ამიტომ ამ სახეობაში წარმატების მოპოვებისთვის მარტო ფიზიკური და ტექნიკური მომზადების სრულყოფა კი არ კმარა, არამედ ლიდერი კარგად უნდა ერკვეოდეს შექმნილ სიტუაციაში და ხიფათის თავიდან აცილების მიზნით, სწრაფი მანევრირებით ახერხებდეს ხელსაყრელ პოზიციაში გასვლას.

შეჯიბრების პროგრამაშია სპრინტერული რბოლა, გამოდევნებით პირადი და გუნდური ასპარეზობანი, ჯგუფური ტურნირი...

ორშაბათს, 25 სექტემბერს შეჯიბრება დღის 15 საათზე დაიწყება.

# საუბარი ფეხბურთსა და კინოზე

## იტალიის სპორტული კინოს მოღვაწეები თბილისში

●

იტალიელი და ქართველი კაცი მთელი დღე რომ ფეხბურთზე ილაპარაკო, არ მობეზრდება. ეს გასაგებიცაა, მით უმეტეს ახლა, როცა წინ კიდევ ერთი მატჩია: იტალიის „ნაპოლი“ — თბილისის „დინამო“.

ამიტომ, სავსებით ბუნებრივი იყო, რომ გუშინ, თბილისში, კინოს სახლში იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტული კინოს ცენტრის დელეგაციასთან გამართულ პრეს-კონფერენციაზე დიდი დრო დაეთმო ფეხბურთზე საუბარს.

ჩვენი იტალიელი სტუმრები გუშინწინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდნენ. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სპორტული ჟურნალისტი, ფეხბურთის სპეციალისტი ენცე პეტრუჩიო, სცენარისტი და სპორტული რეპორტიორი ალფრედო ლიცი, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის წევრები დინო როსი და ჯორჯო დე მარტინი. მათ მეთაურობს სპორტული ჟურნალისტი, იტალიის ოლიმპიური ცენტრის წარმომადგენელი ვიტო მაჯიო.

მოსკოვში იტალიელთა დელეგაცია ეწვია სსრ კავშირის სპორტკომიტეტს, „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტს. დაათვალიერეს მოსკოვის ოლიმპიური ნაგებობების მშენებლობა. შეხვდნენ სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანს ა. კარაგანოვს, კინოს სახლში აჩვენეს თავიანთი კინოფირები.

გუშინ კინოს სახლში იტალიელთა დელეგაციასთან პრეს-კონფერენცია გამართეს საქართველოს ჟურნალისტებმა.

— ჩვენი დელეგაცია პირველ ოფიციალურ ვიზიტადაა საბჭოთა კავშირში, — ამბობს ვიტო მაჯიო, — მაგრამ ეს იტალიელ და საბჭოთა კინოს წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა როდია. შარშან და 1966 წელს ჩვენთან გაიმართა საბჭოთა სპორტული კინოფილმების რეტროსპექტივა. ახლა კი ჩვენ ვაჩვენებთ იტალიის სპორტულ კინოფირებს. არ მინდა ვთქვა, რომ თქვენთან საუკეთესო კინოფილმები ჩამოვიტანეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი წარმოდგენას მოგცემთ იტალიის სპორტული ფილმების შესახებ. ჩვენთვის ცნობილია, რომ საბჭოთა სპორტული ფილმები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ამიტომ, ფრიად სასარგებლოა თქვენთან შეხვედრა, გამოცდილების გაზიარება.

წერილის დასაწყისში ვთქვით, რომ პრეს-კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო ფეხბურთს. როცა ენცე პეტრუჩიოს — ფეხბურთის სპეციალისტს ჰკითხეს, თუ როგორი გამოძახილი ჰპოვა იტალიაში თბილისის მატჩმა ადგილობრივ „დინამოსა“ და ნეაპოლის „ნაპოლის“ შორის უეფა-ს თასზე, სტუმარმა თქვა:

— ამ შეხვედრას სამწუხაროდ, ტელეეკრანის საშუალებით ვადევნებდი თვალს. თბილისელებს უფრო დიდი ანგარიშით შეეძლოთ გამარჯვება. ვფიქრობ, თბილისელები იტალიაშიც გაიმარჯვებენ, ოღონდ მინიმალური ანგარიშით. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არაა, ეს თითქმის მთელი იტალიური პრესის ვარაუდია. თბილისში მატჩის შემდეგ მხოლოდ თითოოროლა, ერთობ ოპტიმისტურად განწყობილმა გაზეთებმა თქვეს: ყველაფერი დაკარგული არაა. ახლა მინდა ერთი საინტერესო დეტალი გითხრათ, რომელიც, ალბათ, თქვენ არ იცით. იტალიის ტელევიზიას განზრახული ჰქონდა თბილისიდან მატჩის რეპორტაჟის მიღება, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტეს გადაცემა გადაეტანათ, რადგან იმ დროს ეთერი „იუვენტუს“ — „გლაზგო რეინჯერსის“ მატჩით იყო დაკავებული. ამან გულშემატკივრები აალელვა და მათი კატეგორიული მოთხოვნით რეპორტაჟი თბილისიდან თავის დროზე გადაიცა.

პრეს-კონფერენციაზე სტუმარმასპინძლებმა უპასუხეს მათთვის საინტერესო კითხვებზე. ბოლოს გაიმართა იტალიური ფილმების ჩვენება.

ა. გურასაშვილი.



# ორი დღე ბუნების წიალში

## კარვების ქალაქი

**ტურისტთა** ჯგუფი ჯგუფს მისდევს. ზურგჩანთიანი ადამიანები სპეციალური მარშრუტებით მიეშურებიან კიკეთის მიდამოებისკენ, სადაც „გაანთიადის“ ცენტრალური საბჭოს ტურისტთა რესპუბლიკური შეკრებაა დანიშნული.

რესპუბლიკის საუკეთესო კოლექტივებმა ერთი ღამე ამ მხრის ბუნების წიაღში იცხოვრეს, ორი დღის მანძილზე ერთმანეთს შეეჯიბრნენ ტურისტულ მრავალჭიდში, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, მეგობრობის კოცონთან მხიარულად გაატარეს რამდენიმე საათი, ერთმანეთს გამოცდილება და შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

შაბათი დილაა. როგორც ნაწვიმარზე სოკოები, ისე თანდათან ჩნდება „კარვების ქალაქი“. შარშანდელ ამგვარ ტურნირში გამარჯვებული თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ტურისტთა ჯგუფის საცხოვრებელი „კვარტალის“ გვერდით ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მუშა-მოსამსახურენი დასახლდნენ, მერე სხვები...

მოდიან და მოდიან ჯგუფები ახალდაბის საავეჯო ფაბრიკიდან, ხაშურის, წყალტუბოს, ცხინვალის, სიღნაღის, რუსთავის, ბათუმის, ქუთაისის, სხვა რაიონების და ქალაქების საწარმოებიდან. კეთილი სალმის მერე ყველას საზრუნავს ბინების მოწყობა და ეზოს გაფორმება შეადგენს.



რამდენიმე საათის შემდეგ კარვების ქალაქში უკვე 40-მდე გუნდი იყო თავმოყრილი. ნამგზავრი მშრომელებიდან ვინ კარვებს შეეფარა, ვინ ტყის ჩრდილში შესვლა ამჯობინა, რომ ცოტა ჩაიმუხლონ და მერე ხელყუმბარის ტყორცნაში, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში სცადონ ძალა. ხელყუმბარის ტყორცნა კი კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ორდღიანი ტურისტული შეკრება-შეჯიბრების პირველი სახეობაა.

მსაჯთა კოლეგია, რომელსაც საკავშირო კატეგორიის არბიტრი ს. ნათაძე უდგას სათავეში, განაცხადების მიღებასა და შემოწმებას ძლივს აუდის, ზოგი არბიტრი სასპარეზოს აწყობს, ვიღაცამ ხელყუმბარებიც გამოიტანა.

შტაბის განკარგულებისთანავე გუნდები კოლონებად ეწყობიან. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორგობიანი მიესალმება შეკრების მონაწილეებს. დიმიტროვის ქარხნის გუნდმა აღმართა ტურნირის ალამი.

...„ვინ უფრო შორს!“ ამ დევიზით ჩატარდა ხელყუმბარის ტყორცნაში შეჯიბრება, რომელიც იმდენ ხანს გაგრძელდა, ვიდრე სადილობის დრომ არ მოაწია. ასპარეზობიდან ვალმოხდილნი კარვებს უბრუნდებიან და თანაგუნდელებთან ერთად სახვალიო გადამწყვეტი სტარტებისთვის ემზადებიან, აქა-იქ ჭადრაკისა და შაშის დაფები გაშალეს. ვიღაცამ ბურთი გამოიტანა, მერე მეორეც გამოჩნდა, წრე შეიკრა, გოგო-ბიჭებმა თამაში გააჩაღეს.

დღეც მიილია. შეჯიბრების ექიმი, საქართველოს ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერის ექიმი ინა პეტრაიტისი კმაყოფილია, რომ დღეს მისი დახმარება არავის დასჭირდა. არც უკვირს. სპორტსმენებს, განსაკუთრებით ტურისტებს ხომ ასე იშვიათად სჭირდებათ მედიცინა.

შებინდდა. ნათურები ჩართეს. მიდამო მძლავრმა შუქურებმა გაახშირინეს. იმ საღამოს ბანაკში კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა საქმიანობა — გაიმართა საუბრები ფიზკულტურისა და სპორტის, ტურიზმის, გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მნიშვნელობაზე. გვიან ყველაფერი მიწყნარდა. ბანაკს ღრმა ძილით ეძინა. იგი მეორე დღისთვის იკრებდა ძალას.

## წინ მთავარი ბრძოლებია

ბევრმა მზის ამოსვლას დაასწრო. საძილე ტომრები აკეცეს და მაცოცხლებელ ჰაერზე დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიში გააჩაღეს. ზოგისთვის იგი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, ზოგისთვის — მეტხანს, ზოგმაც ძუნძულით დაამთავრა მოთელვა — ვის როგორ შეეძლო, ასაკსაც ხომ თავისი მიაქვს.

— „განთიადის“ ცენტრალური საბჭო კარგად ზრუნავს მის კოლექტივებში ფიზკულტურულ-გაჯანსაღებელი ღონისძიებების მაღალი დონისთვის, — გვიყვება ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურის ინსტრუქტორი სულიკო კაშიბაძე, — ამგვარმა ყოველწლიურმა შეკრებებმა კოლექტივებში ტურიზმის განვითარებას შეუწყო ხელი, ჩვენთან იგი ძალიან პოპულარულია...

მისი სიტყვების სისწორეს გაერთიანების ტურისტთა ლაშქრობების ამსახველი ფოტო-სტენდები ადასტურებენ: ორდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: ქუთაისი — ნაზარევი — ჰიშურა — ცუცხვათის მღვიმე — ქუთაისი; ტურისტული შეკრება ძევრის ხეობაში; ორდღიანი ლაშქრობა: ქუთაისი — ტყიბული — ახალსოფლის წყალსაცავი — ქუთაისი; სამდღიანი საწყლოსნო ლაშქრობა ყვირილასა და რიონზე და სხვა. ვფიქრობთ, ერთი კოლექტივისთვის საკმარისია...

ამ გაერთიანების ძაფის ამომღები ფოთოლა ბოჭორიშვილი, მექანიკური საამქროს ჩამომსხმელი ნიკოლოზ ბალავაძე, საქსოვის სარემონტო-მექანიკური საამქროს ხარატი მურთაზ ველიაშვილი ტურიზმის თავგადადებული თაყვანისმცემლები არიან.

— მე და ველიაშვილი ამგვარ შეკრებაზე შარშანაც ვიყავით, არც ერთ შიდასაკოლექტივო ღონისძიებას არ ვაცდენთ, თავსაც ამიტომ მუდამ მხნედ ვგრძნობთ და შრომაშიც ბევრს ვჯობივართ, — გვეუბნება ფოთოლა.

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის ტურისტთა კარ-მიდამო წალკოტს ჰგავს. გუნდის წევრებს ნახშირის მნგრეველ ლეონიდ პოდგურსკის, წყალქცევის უბნის მუშას ვალერი ნოსელიძეს, მებიგე ავთანდილ გვიშიანს და სხვებს, ფიზკულტურის მეთოდისტის ლერი ჭანტურიას ხელმძღვანელობით თავიანთი „ქალაქი“ შესანიშნავად მოუწყვიათ. აქ აშკარად იგრძნობა რომ შეჯიბრება-შეკრება კომკავშირის 60 წელს ეძღვნება. ეზოში მაგიდა და „ოქინარიანი ქაც“ აქვთ. მეშახტეებმა ჟიურის მოწონება და უმაღლესი შეფასება — 10 ქულა დაიმსახურეს.

კარგი იყო დიმიტროველთა ბანაკი, მისი ტურიზმისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების პროპაგანდის მასალები (9 ქულა), რვა-რვა ქულა მიიღეს ახალდაბის საავეჯო ფაბრიკისა და რუსთავის ქიმიური ქარხნის ბანაკებმა...

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გუნდში ხუთი სხვადასხვა ერის წარმომადგენელია. ბანაკი შესანიშნავად მოუწყვიათ.

— ტურიზმი ჩვენთან ყველაზე მასობრივი გამაჯანსაღებელი ღონისძიებაა, — გვიყვება ტანვარჯიშის მეთოდისტი, სპორტის ოსტატი კაპიტოლინა კეხბა, — მავნე გაზების გამო საამქროებში საწარმოო ტანვარჯიშის გამართვა ყველგან როდი ხერხდება, ამიტომ მას სწორედ ტურიზმით ვცვლით. მასში თანამშრომელთა დიდი უმრავლესობაა ჩაბმული. აქ მხოლოდ რჩეულნი — ამწევის ზეინკალი ვალოდია სიმონიშვილი, ამწის მემანქანე ლიუდმილა რაფაელიანცი, მგლინავი იაშა ბადაევი და სხვები გამოაგზავნეს...

— ეტაპებზე ყურადღება! ვიწყებთ ტურისტულ მრავალჭიდში შეჯიბრებას! — გაისმა რეპროდუქტორებიდან.

მრავალჭიდი 6 ეტაპისგან შედგება, იგი შემდეგ კარვის გაშლასა და ცეცხლის ანთებაში ასპარეზობით მთავრდება.

2000-მეტრიან ტრასაზე სიმბოლს გუნდების წარმომადგენლები საძილე ტომრებ[illegible] ჩალებითა და ჩანთის ზურგზე მოკიდებით [illegible] თა ეტაპებზე ხელიდან ხელში გადადის.

ესტაფეტაში საუკეთესო დრო აჩვენეს წყალტუბოს საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობის გუნდის წევრებმა, რომლებმაც სტარტიდან ფინიშამდე 3 წუთი და 5,1 წამი დახარჯეს და 10 წამით აჯობეს II ადგილზე გასულ თბილისის საავეჯო გაერთიანება „განთიადის“ ტურისტებს. მესამე შედეგი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმომადგენლებს აღმოაჩნდათ — 3.34,0.

სამაგიეროდ, საავეჯო გაერთიანებამ ყველაზე სწრაფად (1.07,4) შეძლო კარვის გაშლა და ცეცხლის ანთება. ამ სახეობაში მომდევნო ადგილები ერგოთ დიმიტროველებსა (1.25,8) და რუსთაველ მეტალურგებს — 1.33,0. ხოლო ტურისტულმა მრავალჭიდმა გამარჯვება თბილისელ მეავეჯეებს მოუტანა. წყალტუბოს საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობისა და გუმბრინის მაღაროთა სამმართველოს ტურისტები II და III ადგილებზე გავიდნენ.

— საპრიზო ადგილებს, ცხადია, ყველა ვერ მოვიპოვებდით, მაგრამ ვფიქრობ, აქ გატარებული ორი დღით უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ, — გვეუბნება ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ ფიზკულტურის ინსტრუქტორი ვაჟა გახოკიძე. — ჩვენც, მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის, „უშბის“, „ისნისა“ და სხვათა წევრები შინ კმაყოფილნი ვბრუნდებით იმ გრძნობით, რომ ასეთი გამაჯანსაღებელი ღონისძიებები მხოლოდ ხალხის კეთილდღეობითაა ნაკარნახევი და შესანიშნავად პასუხობს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის ივლისის კრების გადაწყვეტილებებს.

გახოკიძე მართალია, მაგრამ ყველგან როდი ესმით ამგვარი გამაჯანსაღებელი ღონისძიებების როლი და მნიშვნელობა, თორემ მახარაძის, ონის, მარნეულის, გარდაბნისა და ზოგიერთი სხვა რაიონის საწარმოთა კოლექტივები თავს არ აარიდებდნენ ორდღიან ტურისტულ შეკრება-შეჯიბრებას.

ო. გელაშვილი,
ჯ. ქვარცხავა.

* * *

სურათებზე: ზემოთ — კარვის გაშლის მომენტი; ქვემოთ — მსაჯთა ბრიგადა გულმოდგინედ შრომობს; მარჯვნივ ზევით — ესტაფეტა დაიწყო; ცოტაც და, ცეცხლიც აგიზგიზდება.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.







# „100-ანთა კლუბის“ ახალბედა

**როგორც** ცნობილია, სპორტში არსებობს არცთუ ცოტა სიმბოლური კლუბი, რომლებიც სახელგანთქმულ სპორტსმენებს აერთიანებს. ფეხბურთში, მაგალითად, ასეთ კლუბში ირიცხებიან ის სპორტსმენები, რომლებმაც თავიანთი კარიერის მანძილზე ეროვნულ ჩემპიონატში 100 და მეტი ბურთი გაიტანეს. მძლეოსნობაში — ოსტატები, რომლებმაც მილი 4 წუთზე სწრაფად დაფარეს, ალპინისტებში — დედამიწის უმაღლესი წერტილის — ევერესტის პიკის დამპყრობთა კლუბი და ა. შ.

ამ კლუბებიდან ნებისმიერის წევრობა არც ისე ადვილია. ამისთვის საჭიროა არა მარტო ბრწყინვალე ოსტატობა, არამედ წლების განმავლობაში უმაღლესი შედეგების ჩვენება.

ჩოგბურთელებსაც აქვთ მსგავსი კლუბი, რომლის საშვს მხოლოდ იმათ აძლევენ, ვინც დევისის თასის გათამაშებაში ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 100 და მეტ მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

თასის გათამაშების 78 წლის მანძილზე ეს შეძლო მხოლოდ 11 (!) სპორტსმენმა. მათ შორის არიან, გამოჩენილი ჩოგბურთელები — ესპანელი მ. სანტანა (რომელიც თასის გათამაშების 119 მატჩში მონაწილეობდა), ბრაზილიელი ჟ. მანდარინო (110), რუმინელები ი. ცირიაკი (105) და ი. ნასტასე (102), დასავლეთგერმანელი ვ. ბუნგერტი (103) და სხვ.

ამ სიას სათავეში უდგას სახელოვანი იტალიელი ჩოგბურთელი ნ. პიეტრანჯელი, რომელსაც ეკუთვნის დევისის თასზე მონაწილეობის აბსოლუტური რეკორდი — 164 მატჩი.

გასულ კვირას „100-ანთა კლუბს“ კიდევ ერთი — მე-12 წევრი შეემატა. ეს გახლავთ საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეტრეველი. დევისის თასის 1978-1979 წ.წ. გათამაშებაში თბილისელმა სპორტსმენმა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მონაცოს წინააღმდეგ ჩაატარა თავისი მე-100 მატჩი და გაიმარჯვა ლ. ბორფიგთან შეხვედრაში — 6:2, 6:2. მატჩის საერთო ანგარიშია 4:1 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თუ ალექსანდრე მომდევნო წრის სამ შეხვედრაშიც ითამაშებს, იგი „100-ანთა კლუბის“ წევრთა სიაში ერთბაშად 5 მეტოქეს გაუსწრებს და მეექვსე ადგილზე გადაინაცვლებს.

ზ. ფომენკო.
„სოვეტსკი სპორტი“
22 სექტემბერი.

# სსრ კავშირის პირველობა

●

## პირველი ლიგა

21 სექტემბერს გაიმართა ფეხბურთში I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები: ასკ (დონის როსტოვი) — „დინამო“ (მინსკი) 0:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 3:3, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „თერგი“ (გროზნო) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 3:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1, „პამირი“ (დუშანბე) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 1:1, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:2, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — ასკ (ოდესა) 0:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ.“ | 29 | 16 | 10 | 3 | 43—21 | 42 |
| ასკ რ. | 29 | 14 | 12 | 3 | 51—27 | 40 |
| „დინ.“ მნ. | 30 | 13 | 11 | 6 | 38—26 | 37 |
| „კარპატი“ | 28 | 14 | 8 | 6 | 40—27 | 36 |
| „თერგი“ | 30 | 14 | 7 | 9 | 45—36 | 35 |
| „ყუბანი“ | 29 | 13 | 9 | 7 | 41—30 | 35 |
| „ნისტრუ“ | 30 | 12 | 7 | 11 | 37—31 | 31 |
| „ალგირ.“ | 29 | 8 | 15 | 6 | 31—27 | 31 |
| ასკ ოდ. | 30 | 10 | 8 | 12 | 34—40 | 28 |
| „ტორპედო“ | 29 | 10 | 8 | 11 | 29—28 | 28 |
| „ტავრია“ | 29 | 9 | 10 | 10 | 36—32 | 28 |
| „კუზბასი“ | 29 | 10 | 7 | 12 | 29—39 | 27 |
| „შინიკი“ | 28 | 10 | 7 | 11 | 28—29 | 27 |
| „მეტალ.“ | 29 | 6 | 14 | 9 | 27—35 | 26 |
| „სპარტ.“ ი.-ფ. | 29 | 10 | 5 | 14 | 32—43 | 25 |
| „დინ.“ ლ. | 30 | 7 | 11 | 12 | 41—49 | 25 |
| „პამირი“ | 30 | 6 | 13 | 11 | 33—35 | 25 |
| „ურალმ.“ | 29 | 7 | 10 | 12 | 23—35 | 24 |
| „კოლხოზ.“ | 30 | 6 | 6 | 18 | 22—48 | 18 |
| „სპარტ.“ ორ. | 30 | 6 | 6 | 18 | 20—42 | 18 |

## 2:2

**ვოლგოგრადი**, 22 სექტემბერი. სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა აქ ითამაშა პოლონელ თანაკლუბელებთან და ფრედ დაამთავრა მატჩი — 2:2.

## მეორე ლიგა

განახლდა საკავშირო გათამაშება II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

21 სექტემბერს საქართველოს გუნდებს გასვლითი მატჩები ჰქონდათ. აი, ამ შეხვედრათა შედეგები: „ზენიტი“ (იჟევსკი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 5:2, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „დილა“ (გორი) 1:1, „დინამო“ (კიროვი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „დინამო“ (ბათუმი) 2:2.

მანამდე გორის „დილამ“ ითამაშა პერმში, სადაც წააგო ადგილობრივ „ზვეზდასთან“ — 1:4.

## ჭაბუკთა რესპუბლიკური

**დღეს** სტარტს იღებს რესპუბლიკური პირველობა ჭაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობენ ოლიმპიური რეზერვის, სპეციალიზირებული, ბავშვთა ფეხბურთის სკოლებისა და ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების 15 გუნდის (ორი ასაკობრივი ჯგუფი 1961-62 წ.წ. და 1963-64 წ. წ. დაბადებული) ნორჩი ფეხბურთელები.

რამ გამოიწვია ორ ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს პირველობის ჩატარება? პირველ რიგში აღნიშნულ სკოლებში მუშაობის იმ პრინციპით წარმართვა, რომ მომზადდეს პერსპექტიული რეზერვი ოსტატთა გუნდებისათვის. მეორე — იმასთან დაკავშირებით, რომ გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდული გუნდი საკავშირო II ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში არადამაკმაყოფილებლად გამოვიდა და მესამეც იმისათვის, რომ აქედანვე შეირჩეს სრულფასოვანი რეზერვი 1963-64 წლებში დაბადებულ ფეხბურთელებიდან.

ი. გოგორაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# მესამე ადგილზე

**სექტემბრის** დასაწყისში თბილისში გაიმართა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ზონალური ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მინსკის, ბაქოს, ერევნისა და თბილისის გუნდები. მასპინძლებმა დაამარცხეს ერევნის (2:0) და მინსკის (3:1) ფეხბურთელები, ბაქოელებთან ითამაშეს ფრედ (3:3) და პირველობა მოიპოვეს.

თბილისის „ბურევესტნიკი“ სხვა ზონებში გამარჯვებულებთან ერთად დასკვნით ასპარეზობაში გავიდა, რომელიც 11-20 სექტემბერს მიმდინარეობდა ნოვოჩერკასკში.

ქართველმა ფეხბურთელებმა აქ გაიმარჯვეს თავიანთი ქვეჯგუფის ორივე შეხვედრაში: კუიბიშევთან და სიმფეროპოლთან ერთნაირი ანგარიშით 1:0 და ფინალში გავიდნენ მოსკოვისა და ნოვოჩერკასკის გუნდებთან ერთად.

პირველი მატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა მოსკოველებთან გამართეს. თბილისელები იგებდნენ მატჩს ანგარიშით 1:0, მაგრამ მატჩის ბოლოს [illegible] 11-მეტრიანი [illegible] გაექვითა ანგარიში — 1:1. შემდეგ ჩვენმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 2:3 წააგო მასპინძლებთან, რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს.

ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკმა“ (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ო. ურთქმელიძე), რომელიც საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, III ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარებულია თბილისელი ი. ქათამაძე, ხოლო ბომბარდირად — მ. ბოლქვაძე (4 ბურთი), რომლებსაც სპეციალური პრიზები გადაეცათ.

* * *

**სურათზე:** თბილისის „ბურევესტნიკი“; მარჯვნივ — მწვრთნელი ო. ურთქმელიძე.

ნ. ნანეიშვილის ფოტო.



# ფეხბურთი

## ა. ლოლობერიძის პრიზზე

# დღეს გადაწყდება

**გუშინწინ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ლოლობერიძის პრიზის გათამაშების მეორე ტური.

პირველნი მინდორზე მოსკოვისა და ერევნის ვეტერანები გამოვიდნენ. დედაქალაქელ ფეხბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო, რაც მატჩის შედეგშიც გამოიხატა — 9:1 (5:1). გამარჯვებულთაგან 4 ბურთი გაიტანა საბჭოთა ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილმა კაპიტანმა ე. ლოვჩევმა. მის გარდა წარმატებას მიაღწიეს ოსიანინმა და ესკოვმა (2-2) და დორონინმა. ერევნელთაგან ერთადერთი ბურთი პოღოსოვმა გაიტანა.

ძალზე დაძაბული იყო კიევისა და თბილისის გუნდების შეხვედრა. სტუმრებმა მოიგეს პირველი ნახევარი — 1:0 (ევსეენკო). შესვენების შემდეგ დათუნაშვილმა თავური დარტყმით გაქვითა ანგარიში — 1:1.

თბილისელები ამ დღეს ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ურუშაძე, კუპრაშვილი (ჩატოევი), გავაშელი, ილიადი, ჭანჭალეიშვილი, ხუნდაძე, მჭედლიშვილი, დათუნაშვილი, კალოევი (ს. კოტრიკაძე), ჟორდანია, ლ. ნოდია.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ, რომელიც დღეს გაიმართება, გუნდების მდგომარეობა ასეთია: თბილისელებსა და კიეველებს 3-3 ქულა აქვთ, მოსკოველებს — 2, ერევნელებმა ორივე თამაში წააგეს. საპატიო პრიზის პირველი მფლობელი დღევანდელმა მატჩებმა უნდა გამოავლინონ. ლიდერები — კიეველი და თბილისელი ფეხბურთელები შესაბამისად ხვდებიან ერევნისა და მოსკოვის გუნდებს.

# მძლეოსნობა

**ვადუცის** (ლიხტენშტეინი) სტადიონზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 800 მეტრზე რბენა მოიგო კენიელმა მ. ბოიტმა — 1.45,17, ხოლო 2000 მეტრზე იმარჯვა ტანზანიელმა ფ. ბეიმ — 4.59,21. მ.

**ბუდაპეშტში** პ. იამბორმა ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში უნგრეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 226 სმ დაძლია. აქვე შ. ბოროშის შუბმა 86,94 მეტრი იფრინა.

# ნუ შეცდებით

„**სპორტლოტოს**“ მოყვარულმა, ვინც 3 და 4 სპორტული სახეობა ამოიცნო, შეუძლია ტირაჟის ჩატარებიდან ათი დღის შემდეგ შემნახველ სალაროებში მიიღოს მოგებული თანხა, ხოლო „ხუთოსნებმა“ და „ექვსოსნებმა“ „სპორტლოტოს“ რესპუბლიკურ სამმართველოში უნდა წარადგინონ ბარათის „ა“ ნაწილი მოგებული თანხის გასაფორმებლად.

რესპუბლიკური სამმართველოს მოგებათა და პრეტენზიების ჯგუფში შემოდის საჩივრები „სპორტლოტოს“ იმ მოყვარულებისა, რომლებმაც ბარათების შევსების დროს დაუშვეს შეცდომები და ამის გამო დაკარგეს მოგებული თანხის მიღების შესაძლებლობა. ამიტომ, საჭიროდ მივიჩნია პასუხი გავცეთ ზოგიერთ კითხვას.

● **შეიძლება თუ არა მოგებული თანხის მიღება თუ „სპორტლოტოს“ ბარათის „ა“ ნაწილი დაკარგულია?**

— ბარათის „ა“ ნაწილის დაკარგვის შემთხვევაში ბარათის მფლობელი კარგავს მოგებული თანხის მიღების უფლებას.

● **როგორ მოვიქცეთ, თუ ბარათის „ა“ ნაწილში ციფრები არ გვაქვს შევსებული?**

— ტირაჟის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე მაინც უნდა მიმართოთ „სპორტლოტოს“ რესპუბლიკურ სამმართველოს და წარადგინოთ ბარათის შეუვსებელი „ა“ ნაწილი.

● **როგორ მოვიქცეთ, თუ ბარათის „ა“ ნაწილი ჩავუშვით შეცდომით „სპორტლოტოს“ სპეციალურ ყუთში?**

— ასეთი შეცდომის გამოსწორება შესაძლებელია. ამ შემთხვევაში უნდა მიმართოთ „სპორტლოტოს“ რესპუბლიკურ სამმართველოს, რათა დაგიბრუნონ ბარათის „ა“ ნაწილი, ხოლო თქვენ კი უნდა ჩააბაროთ „ბ“ და „ვ“ ნაწილები — ტირაჟის ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი დღისა.

● **ითვლება თუ არა ბარათი მოგებულად, თუ პირველ ტირაჟში ამოცნობილია 2 სპორტული სახეობა და მეორეში კი — ერთი?**

— მოგებულად ითვლება ის ბარათი, სადაც ამოცნობილია სამი ან მეტი სპორტული სახეობა ცალკეულ ტირაჟში ე. ი. მოგებული ციფრები პირველი და მეორე ტირაჟისა არ იკრიბება.

● **რატომ მერყეობს მოგებათა ოდენობა?**

— მოგებული თანხის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობითაა გავრცელებული „სპორტლოტოს“ ბარათები და რამდენია „იღბლიანი“ ბარათის მფლობელი.

„სპორტლოტოს“ თაყვანისმცემლებს შეუძლიათ მათთვის საინტერესო და გაურკვეველი საკითხების შესახებ მიმართონ რესპუბლიკის რაიონებში არსებული „სპორტლოტოს“ განყოფილებებსა და საააგენტოებს ან რესპუბლიკურ სამმართველოს (თბილისი, ელიავას ქ. № 26), სადაც ამომწურავ პასუხს მიიღებენ.

ვ. ბაბუნია,
საქსპორტლოტოს უფროსი ინსტრუქტორი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

# დღეს

25 სექტემბერს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49 ა) სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ინიციატივით ეწყობა მხატვრული ფილმის — „თუ შენ წახვალ“ საჯარო განხილვა. განხილვაზე მოწვეული არიან სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები, სპორტის მოყვარულები.

დასაწყისი 17 საათზე.

# თბილისი. სპორტული ვიზიტი

ფეხბურთი. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. 24 სექტემბერი. „ავაზას“ ბაზა დიღომში. „ავაზა“ (თბილისი) — ასკ (თბილისი). დასაწყისი 12 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ზუგდიდი). 16 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380038, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 95-97-58; მემანქანეები — 93-97-57.